



ნახ. დონის.

ფიიჭეღი

მიწის ვარ მებრძოლი
უკვე ჩვენია.
ხუთ მებრძოლს დიღხანს უოფნა
არ ღარჩენია.
გალე იქაც დაიქუხებას
ჩვენი იტობობარი.
დედა-მიწას მოედება
ის წითელი ფიჩი.

გ უ შ ა გ ი

ჩვენ გავხეხეთ სოციალიზმს,
წინ მივდივართ, წინა,
ნება ჩვენი ფოლაკია,
მა... ა—რჩინა.
დავამარცხებთ უიკოლგვარ მბერს
კოპოკ მულამ—მულატ.
გვსუს მშვიდობა, ჯავი... მავრამ
მივით... კვიც... უმხლაც.

ა. ნ.



საბჭოთა
№ 25 ფ. 15 პ.

„ტეი“ ღასრ ულდა

სახელოვანმა წითელმა არმიამ მანევრები დაიწყო.

გაზეთებში სპეციალური კორესპონდენტები ისე ასწერდნენ მანევრების მსვლელობას, თითქოს მართლაც ომი ყოფილიყო:

— დღეს უნდა მოხდეს უკანასკნელი და გადაწყვეტი ბრძოლა...

— დღეს მოხდება საპაერო თავდასხმა ტფილისზე...

— უცნაურ ჩვენს მარცხენა ფლანგზე იქეთა ზარბაზანმა, აკაკანდენ ტყვიამფრქვეველები, მტერმა ასტეხა სროლა, საშინელი კორიანტელი დადგა ორივე მხრიდან...

ყარამან შურიანიძე დღეს, დამეჯებულნი დაბრუნდა სამსახურიდან. საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიამ გამოაცხადა შედეგები: შურიანიძე ვაწმენდილია პირველი კატეგორიით.

მას დაუმტკიცდა შავი წარსული, — ნიკოლოზის დროს, როგორც მემამულეს მშრომელი გლეხობა აუწიოკებია... მენშევიკების დროს გვარდიის ოფიცერი ყოფილა და ბოლშევიკების აჯანყებები ცეცხლითა და მახვილით ჩაუქრია.

ჩვენს დროს კი იქ სახელმწიფო დაწესებულებაში შემქერალა და მანებლობას ეწეოდა თურმე...

— ყარამან, რა დაგეგმართა კაცო სახეზე ადამიანის ფერი არა გაქვს!.. გაკვირვებით შეეკითხა მას ნიკოლოზ ვენახოთაშვილი, რომელიც მისი სიყრმის მეგობარი იყო, ყოფილი თავადი და ნიკოლოზის დროინდელი მსხვილი მოხელე. დღეს ის ყარამანისას სტუმრად მისულიყო იმ მიზნით, რომ სადილს წასწრებოდა.

ყარამანმა გაუზიარა მის თავის გულის ნადები.

— მოიცა ყარამან, გულის ნუ გაიტეხ, ზომ ხელავ ომი იწყება, ჩვენები ეგროპიდან შემოუტევენ ბოლშევიკებს; შიგნიდან ჩვენ შეუტოით და დედას ვუტირებთ მათ! აიმიდებდა თავზარდაცემულ ყარამანს ვენახოთაშვილი, რომელმაც ხმა მალლა დაიწყო გაზეთის კითხვა წითელი არმიის მანევრებს შესახებ...

— ყარამან მენშევიკების ჯარის სარდალია... დიდმა ნოემ მას ჩააბარა ჯარი და დარიგება მისცა:

— ყარამან, შენზე კიდია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ბედ-იღბალი, ჯერ ბათოში უნდა აიღო, შემდეგ ოსურგეთი, სამტრედიის, ქუთაისი, გვარდია შეუსიე სენაკს, ზუგდიდს და აფხაზეთს.

ქუთაისის აღება არ გაევირდება, იმერეთის თავადაზნაურები იქ არიან, ხელს შეგიწყობენ... შემდეგ ამისა აღმოსავლეთ საქართველოსაკენ გაეშურები და მიაღვები თბილისს... თბილისის აღებას რა უნდა! მცხე თბიდან ესროლე ზარბაზანი და ტფილისსაც იოლად აიღებ! ნოემ ყარამანს ზარბაზანი გადასცა.

ბრძოლები დაიწყო... ბათოში მას „პურმარილით“ შეხედენ—ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლები...


მის საპატივცემლოდ მენშევიკების ჯარის აღლუმი გაიმართა. ყარამანი წინ მიიწეეს... ნატანებში ჯარი შეაჩერა...

— თქვენ აქ მოიცადეთ! მე სახლში გავიარო... შობლებს ვინახულვებ, ათი წელიწადია არ მინახავს და ხვალ დილით აქვე დავბრუნდები... აბა ეტლი, ეტლი!—დაიძახა მან...

— ბატონო ყარამან—მიმართა მას ერთმა გენერალმა,—ეტლი რათ გინდათ? ბოლშევიკებს რკინის გზა გაუყვანათ და რკინის გზით წაბრძანდით.

ოპორტუნის ტი და მანევრები

ნახ. ქოქიაშვილის.



— წადი, შვილი, და ნილაზი მომიტანე!
— გაგიღო, უნდ ნილაზი რად გინდა, აკი უნდზე ამგოგენ და სწორენ
— ნილაზს აბარაგხს, ნილაზის ძმეშ იმალაგო.

— რას ამბობ, გენერალო,— შეუბღვირა მას ყარამანმა,— ბოლშევიკების გაკეთებული რკინის გზით როგორ ვიკადრებ წასვლას; გინდა დავიღუპო? მომგვარეთ ეტლი,— ვანიმეროა მან.

ეტლი მოავდეს მაშინვე. შიგ ორი ცხენის მაგვარი ცხოველი ება.

ყარამან სახლშია.

მის ეზოში კოლექტივს ჩაის პლანტაცია გაუშენებია, მის ოდა-სახლში სკოლა გაუხსნიათ. ყარამანის მამისთვის ერთი ოთახი მიუტოვათ.

ყარამან მამას ყელზე ეხვევა...

— მოიცა მამა, ხვალ ბოლშევიკების „ბურღლი“ არ იქნება.— აიმიდებს მოხუცს.

— ამ დროს მის ეზოში ჰაეროპლანი ჩამოეშვა...

— ბატონო ყარამან, ტფილისი ავიღეთ, ტფილისს ვერ იცნობთ, აუღონრებათ. სასოლზე სახლები დაუღვამთ, ბალები გაუშენებიათ, ტრამეის ხაზებით ქალაქი დაუ-

ქსელავთ! მოახსენა მას ნაცნობმა გენერალმა...

ყარამან აეროპლანში ჩაჯდებდა. შიშისაგან თვალებს ხუჭავს... ჰაეროპლანი ტფილისში დაეშვება...

მოახსენეს მას, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა ბრწყინვალეთ დასრულდა...

გამოჩნდება „დიდი“ ნოე, რომელიც მას მიულოცავს გამარჯვებას და გულზე ჯვარს ჩამოკიდებს...

— მაწონი, მაწონი!— შემოიჭრა ყარამანის საწოლ ოთახში მემაწუნეს ძახილი... ყარამანს გაპოელოცა...

ახალი გაზეთი შემოუტანეს.

პირველ გვერდზე შავი ასოებით ეწერა:

— მზათ ვიყოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის.

— კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ სახელოვნად დაამთავრა მანევრები.

ქუმბარა.

თამაროვე მეფე ლირი

ტრადიციული კომედია და კომიკური ტრადედია

მაკდონალდი (იგივე თანამედროვე მეფე ლირი):

„ვიდრე მოვლენ, ჩემს დაფარულ განზრახვას ვიტყვი“.

მოვხუცი კაცი; პრემიერად ორჯერ ვიყავი.

ჩიცხვი მესამე საფრთხილოა, ეს კარგად ვიცი.

რის მაქნისა კლასთა ბრძოლა, მუშათა კლასი!

რაკი დამიდგა არჩევანი: „იქით, ან აქეთ“, —

ცხადია ვირჩევ სავარძელს და პრემიერობას..

შემოდით ჩემთან ლიბერალნი და კონსერვატორნი...

სალამი თქვენდა, ბატონებო, სალამი თქვენდა.

გიცნობთ ზე ყველას, კარგად გიცნობ, სულისა სწორნი.

„მომართეთი მე აქ სამეფოსი ჩვენისა რუქა“.

აი, ხომ ხედავთ, დიდი არის ჩვენი სამეფო.

უამრავ ხალხებს ქედზე ვადგამთ მონობის უღელს.

ეს კარგი არის... ძალზე კარგი.. ეს ასე უნდა..

მსურს სიყვარულის კვალობაზე გავინაწილოთ

ჩვენ პორთფელები სამინისტრო და პრემიერის

შევექნათ მთავრობა ოჯახური, მყუდრო და ტკბილი.

აბა, მითხარი, შენ ბოლდუინ, თუ თქვენ რამდენი

გსურთ პორთფელი სამინისტრო მიიღოთ ჩემგან.

ბოლდუინი:

ათი-თორმეტი ჯერ-ჯერობით... ესეც გვეყოფა.

მაკდონალდი:

აბა, ინებე.. შენ რამდენი, ჩემო ლოიდ-ჯორჯ?

ლოიდ-ჯორჯი:

შვილიდან რეამდე ჩვენც გვეყოფა... მეტი არ გვინდა.

მაკდონალდი:

ჰა, შენც ინებე... გულუხვი ვარ, როგორც არავინ.

კმარა, გვეყოფა, მეგობრებო, ურთიერთის მტრობა

ბოლდუინი:

მზადვარ, ძვირფასო, შენთან ერთად მეც ვზიდო ტვირთი,

რომელიც მეფემ, ვით სახედართ ზურგზე დაგვადო.

მაპატიებდე, თუ რამ წყენა წინედ გარგუნე.

პორთფელს ვეძებდი.. აწ რა მინდა... ეპოვე პორთფელი.

მაკდონალდი (ხუმრობით ლოიდ-ჯორჯს):

აბა, ბებურო, შენ ძველი ხარ, შენ რატას მეტყევი?



მ შ ა თ ვ ა რ თ!

ლოიდ-ჯორჯი:

მე კარგის მეტი რაღა მეტქმის.. მუდამ მიყვარდი და ამიტომაც პარლამენტში თითებს გიწევდით

მაკდონალდი:

როგორ არ მახსოვს.. კარგად მახსოვს, და მეც მიყვარხარ.

ლოიდ-ჯორჯი:

და თუ გიყვარვარ ჩემი შვილი...

მაკდონალდი

გნიშნავ მინისტრად... ჰო, ვიცი, ვიცი...

ბოლდუინი:

თქვენა შვილიც... გნიშნავ მინისტრად.

მაკდონალდი

ლოიდ-ჯორჯი და ბოლდუინი:

ეს კარგი არის.. ასეც უნდა... მტკიცე მთავრობა მამა და შვილი მინისტრებად ერთ მთავრობაში!..

ხმები ქუჩიდან:

„ძირს მაკდონალდი... ძირს ახალი მასი მთავრობა“... მაკდონალდი, ბოლდუინი და ლოიდ-ჯორჯი (შეშინებულნი).

რა დროს „ძირს“ არის! ასე მალე! სად ვაგონილა? ო, უმადლო, ჩვენო ხალხო, რასა სჩადიხარ.

ქვებს რატომ ისვრით? რატომ ამტყვევთ? რად იგინებით? მახსარა (იგივე ჰენდერსონი):

ეს იმიტომო, ბატონებო, რომ საქმე არ აქვთ, უმუშევრობამ გამოჰყარა ისინი ქუჩად, და სამუშაო, რომ არა აქვთ, თქვენ ქვებს გესვრიან.

რინ-ტინ-ტინ

ნახ. ქოქიაშვილის



მუშტარნი: — ეგ საზამთრო კარგი არ უნდა იყოს, შიგნიდან არავითარი ხმა არ ისმის!

— შე დალოცვილო, საზამთრო მანეთი ღირს და მათეთად შიგ რთილის დაკვრაც გინდა!

გ ა ვ ს კ ღ ი გ უ ლ ზ ე

პეტრია ქალაქში

გავსკდი გულზე ბრაზისაგან,
გავსკდი მეთქი, დიახ, გავსკდი;
გულში ალი დატრიალდა,
თითქმის დასაბმელი გავხდი.

იცით რატომ? ჰო, არ იცით
და ეს ვნახე ამას წინად,
როცა ერთი სკოლის ნახა,
ვით ბრიგადელს, რომ მხვდა წი-
ლად.

იგი იყო, თუ არ ვცდები,
საალმ-საფაბრიკო სკოლა,
სადაც უნდა სწარმოებდეს
ტენნიკისთვის ცხარე ზრძოლა.

გადავსწყვიტე ერთ-ერთ ჯგუფში,
მსმენელთათვის მეგლო ყური

იქ დაფის წინ იღა კაცო
გარეგნობით მედიდური.
ნან მე თვალი ამარიდა,
თითქოს აქვსო რამე შური
და მსმენელებს მიაყარა
მან სიტყვები ტენნიკური.
ეს ყმაწვილი აწვალებდა
ინჟენერულს ერთ-ერთს საგანს,
მაგრამ ერთობ გაურბოდა
ამოცანებს გამოსაყვანს.

მსმენელები ყურს უგდებდენ,
სახე ჰქონდათ განაშტერი
არც ერთ მათგანს, დავიფიცავ,
არ ესმოდა არაფერი.
და როდესაც გაათავა,


ტვინის გვრემა, ოფლის წურვა
ამ ლექტორმა ერთხელ ჩემსკენ
გამოხედვა მოისურვა.
შევხედე და ჩაახველა
მან „ვაჟნობის“ მოსამატად.
„ვაჰ, „ გავკვირდი.—შენ გუშინ
წინ

იქ არ იყავ ადვოკატად?“
მან აიღო ხელში ცარცი
რალაც ხაზის მოსახატად.
— „ხელს ნუ გვიშლით! ვმეცადი-
ნობთ“.


მიპასუხა მკვახედ, სხარტად.
მომეკიდა გულზე ცეცხლი,
მე ბრიგადელს ამის მნახველს
უკმეხათვე ვუპასუხე
იმ „ტენნიკოსს“, ცარციით მჯღაბ-
ნელს.

გავსკდი გულზე ბრაზისაგან
გავსკდი მეთქი, დიახ, გავსკდი,
გულში ალი დატრიალდა
თითქმის დასაბმელი გავხდი;
უნდა იყოს სულ ჩერჩეტი,
უნდა იყოს მართლა ბატი,
ვინც ტენნიკის მასწავლებლად
გამოგზავნა ადვოკატი.

სეგვირ-ბენ-შეიხ.



— რამ გადაგრაია! კოლპერატის
ესლა თავს დანებებს ჭკვიანი კაცი?



ჩამევედი ბოშო ქალაქში. უნდა
მენახა ჩემი მამიდას შვილი გრი-
გოლა; მითხრეს დიდი კაცია და საქ-
მეს მოგიწყობსო; ბოვში მყავდა
ტენნიკუმში მისაღები. მითხრეს შვე-
მი წვევიდაო.

იმე, ბოშო! შამამეკიდა გაგანია.
ისე გავხდი, როგორც კუჭი. დავრჩი
ხახამზრალი; ამდენი ფული დავხარ-
ჯე მგზავრობაში და ჩამიარა უბრა-
ლოთ.

მევიდვარ ჩემთვის ტროტორზე,
და ვილატვი წამამეწია. მიძახის:

— ჩქარა დეიმალე და თან შუშ-
ტუსს უფშვიტინებს — ქალაქს მტე-
რი უნდა დაეცესო!

იცოცხლე შენს პეტრიას ფერი
ეკვალა, შევარდი საცხა და ნაგვის
იაშკის ამევეფარე.


ცვირში რაცხამ ლიტინი დამიწ-
ყო. ვიფიქრე, თუ ნაგვის სუნი
თქვა, ავდექი და მივირბინე ჭიშკარ-
თან; იქ უარესი სუნი მეცა. — იმე,
ვიფიქრე, ნამდვილათ გევიგულე კა-
კალი კაციოქვა.

ქუჩებში რაცხა კვლამი იღა და
მალლა არეოპლანები ძერებლით
დაფრინავდენ. ერთმა ვინცხა კაცმა
წამომძახა:

— ნუ გეშინია კაცო, ეს მანევრე-
ბიაო. ცოტა ქე დაეწყნარდი და იმ
ლამესვე შევარდი სტანციაში, რომ
უკანვე წავსულიყავი. აკოშკიდან
დევიწყე ყურება. რა ვნახე კაცო!
აეროპლანები მარსკვლავებოვით ცა-
ში თამაშობდენ. ესე გამიკვირდა,თუ
ამ ღამეში გზას როგორ იგნებდენ
ცაში. ეს მანევრებიაო.

თუ მანევრებში ამდენ საქმეს შო-
ბიან, ვაინში რალას იზამენ?

მუზე.



— ქააო, რატომ არ აზვანნი ამ საზამთროებს?
— დანიცა, ძია; რა გვაჩვენებს, ეს საზამთროა და ზამთრამდე ჯერ კიდევ გვყრი დროსა!

კ ი თ ხ ვ ა - ვ ა ს უ ხ ი

გვარი და სახელი? კანტურიძე ალექსანდრე.

სად მსახურობთ? გლარჯაში.

კონკრეტულად რაში გამოიხატება თქვენი მუშაობა? კაბინეტის მოწყობა, ეტლების შექმნა, ნაცნობ-მეგობრების მიღება, დეფიციტიან საქონლის გაცემა ოპერებისათვის. სამსახურის შემდეგ კი ქეიფი დილის მსაათამდე. აქედან კი დიპრდაპირ სამსახურში მისვლა და ასე შემდეგ.

თვიური ხელფასის რაოდენობა? არ ვიცი. რაც არ მჭირია, მეტს არ ავიღებ. მაგ. ამ თვეში რამოდენიმე ათასი მანეთი ვიმყოფინე. ხელფასი დამოკიდებულია ჩემს პირად ხარჯზე.

საჭირო იყო თუ არა ეტლებზე ამდენი ფულის დახარჯვა? არ იყო, მაგრამ საჭირო იყო ნაცნობთა გულის მოსაგებად. ისე ეტლს ავტო სჯობია.

რა ქონება გაქვთ? ქონება მჭირი უნდა მქონდეს, მაგრამ კომუნისტობი ნებას არ მაძლევინ. ამასწინეთ ჩუმად ვიყიდე ორსართულიანი სახლი,

მაგრამ გამიგეს და ვაიუშველებელი დამაყენეს. ეხლა მეც ვისწავლე ჭკუა და ხელი მივეყავი ძვირფასი ნივთების შექმნას.

ოჯახური მდგომარეობა? ცოლზე მეკითხებით? ჰო, ცოლი მყავდა, მაგრამ როცა დირექტორი გავხდი ის აღარ იყო ჩემი შესაფერისი და გაუშვი. ეხლა ნასწავლსა და კეთილშობილ ქალს ვეძებ;

აქვს თუ არა ადგილი თქვენთან პროტექციას? სასტიკი წინააღმდეგი ვარ პროტექციის. მე ვიღებ სამსახურში მხოლოდ ჩემს ძმა-ბიჭებს და ისიც იმათ, რომლებიც ჩემსავით პურ მარილიანი არიან.

გამოიკვლიეს თუ არა თქვენი მუშაობა? ეხლახან გამოიკვლიეს და მგონი მოხსნასაც მიპირობენ, მაგრამ ვერ მივართმევი ბადრიჯანს. მი თუ სხვებს კი ვმფარველობ, მე არ მეყოლება მფარველი თუ?

ქოჩორა

(გაგრძელება ამ ამბის—იხ. შემდეგ გვერდზე)

—კლასობრივ მტრად წოდებულ მოჯამაგირეების და ღარიბი ხალხის მოსისხლევ კულაკო და ელემენტო გორჯას გაყევილაძევ!

ჩვენ, რომელნიც საბჭოთა და კოლმეურნეობებმა გადაგვარჩინა შენს კლანჭებს, გწერთ ამ წერილს და გიცხადებთ, რომ დადგა შენი აღსასრულის დღე!

გახსოვს, გაყევილაძევ, შენს ხელში ყოფნისას რა დღეს გვაყენებდი? კოლექტივიზაციამ რომ გული შეგიშვოთა, ხანჯალ-გალესილი ტრიპლებდი ჩვენს შორის და ყელი უღაღრაგი საწყალ პირუტყვს.

ისარგებლე რა შემთხვევით; იცოდი რა, რომ კარგი დღე არ დაგადგებოდა; გაითვალისწინე რა, რომ მოგსობდენ, როგორც კლასს, შენ განიზრახე ჩვენზე მოსპობა და ჯოგში დარბოდი თვალდაფეთებული. ბევრიც იმსხვერპლე ხარ-კამეჩი, ძროხა, ცხვარი, თხა და ღორი. გვიმსხვერპლებდი ყველას, რომ დროზე არ მიეღოთ ზომები და არ გადავერჩინეთ.

როგორ ხასიათზე ხარ ახლა, გაუმაძღრო გაყევილაძევ? ჩვენ შენგან მტკიცე დავალებით ჩამორთმეული მსხვილ და წვრილფეხა საქონელი, საუკეთესოდ ვგრძნობთ თავს ამ სასაქონლო კოლმეურნეობაში, სადაც განსაზოგადოებულია აუარებელი მუშა, მეწველი და სხვა საქონელი. ჩვენ აქ საუკეთესოდ ვგრძნობთ თავს, გახსოვს შემწილით რომ გვზოცავდი? ახლა საუკეთესო საკვები გვაქვს და ზამთარში კი კარგად ჩამუყავებულ, წნილად ჩადებულ სილოსს გაიხლებით (სხვათა შორის, შენც მოგიხდებოდა, დასილოსებული გვიმრა და სხვა სარეველა ბალახი, შენ ხომ ნამდვილი კამეჩი ხარ!).

რაც შეეხება ჩვენს საბინაო საკითხს, თუ მაქ სიცივით ვიზოცებოდით, აქ კოლექტივსა და საბჭოთა მეურნეობაში საუკეთესო სადგომები ავგიშენეს, ფანჯრებით, იატაკით, სახურავით! მაგას გაიმეტებდი შენ ჩვენთვის?

გახსოვს? რომელიმე ჩვენგანი რომ აეთ გამზდარიყო, დაკლავდი და საკმელად ყიდდი, აქ კი ჩვენ საკუთარი ექიმები გვყავს და არ გვაკლია ზოოტექნიკურ-ვეტერინარული მომსახურება.

გირჩევთ ერთი შენ თითონ მიხვიდე ვეტერინართან, ნახოს ერთი რა ჯიშის ხარ!

განსაზოგადოებულ საქონლის სახელით წერილს ხელს აწერენ: გიშერა, ნისლა, ჭერამა, ლურჯა, კულა, ლომა, წაბლა, ნიკორა, ზულარა. ბეკეა, დინვა და სხვანი. გუზ-გუზ.

5



საბჭოთა საქართველო "მტკიცება"

ალექსანდრე: — ნამდვილი ტარიელი ვარ, ნამდვილი, სულერთია, რუსთველის იქნება თუ წინაშევის. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ისტორიაში ისინი უკვდავი არიან, მე კი აწუნდა გავხდე უკვდავი.

თამარა: — ჰო, რაღაც მეც გამოვიგონა და მგონი მეც წამოვიტახავს რუსთველის და წინაშევის "ტარიელი". სწორედ ისეთი ხარ, ჩემო კარგო...

ბაჯელიძე: — შენი მოქმედება, ალექსანდრე, ყველაფრად ისტორიულია: „გლარჯა“ გააფართოვე, სამსახურში გაადიდე ქალების პროცენტი, ყოველი სახის ტრანსპორტი შეიძინე და, საერთოდ, წარმოებაში მხირულობაა. რომელ წარმოებაში ნახავს კაცი, რომ თანამშრომლებში ასეთი სოლიდარობა და სიამოვნება იყოს როგორც ჩვენთან არის! ყოველ ღამე ერთად ქეიფი, ეტლებით გაქროლება კოჯორში, ქეიფი ქალაქ - გარეთ და სხვა მრავალი.

ალექსანდრე (ბუღალტერს): — მოუმატეთ თამარა მეტრეველს და ბაჯელიძეს ხუთ - ხუთი თუმანი და გამოუწერეთ ზედმეტი მუშაობისათვის ას ასი მანეთი.

ბუღალტერი: — ამას ვერ შევასრულებ, ალექსანდრე, რადგან მაგათ არასდროს ზედმეტი არ უკუშვავთ. პირიქით, ყოველდღე იგვიანებენ სამსახურში და ხშირად თითქმის ნახევარჯერ სრულდება არ ცხადდება.

თამარა: — ალექსანდრე, ასეთი და უმორჩილებელი ბუღალტერი უნდა მოშორდეს ჩვენს დაწესებულებას.


ბაჯელიძე: — მართალია, მართალი. ჩვენ რომ გოშინ სამი ეტლი დავიქირაოეთ ქალაქ - გარეთ, რომ ვიყავით საქეიფოთ, მაგი იმათაც არ აღეგნა თოვს, შენი განკარგულების წინააღმდეგი იყო.

ალექსანდრე: — შენ სიფრთხილე გმართებს, ბუღალტერიო!

თამარა: — ეხლა ჩემო კარგო, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ხვალ სად და როგორ ვიქეიფოთ?

ალექს: — ჩვენ დებს, ახალ და ახალ ქალებს ხომ წამოიყვან?

თამარა: — ოოო, ეს ჩემზე იყოს, მარა მათ რომ ზურნაზე ქეიფი უყვართ!



ალექს: — ეს ჩემ ჩანტლაძეზე იყოს დამოკიდებული.

ჩანტლაძე: — მზათ ვარ შევასრულო თქვენი განკარგულება, მაგრამ წინასწარ თხოულობენ ფულს მეხურნებებ.

ალექს. (ბუღალტერს ეძახის): — გამოუწერეთ ჩანტლაძეს 200 მანეთი.

ბუღალტერი: — როგორ გავატარო, ბატონო, ეგ თანხა. ან რა დავარქვა მას?

ალექს: — რა მოუხერხებელი ხარ. გამოწერე რაღაც რაღაცეების გაკეთებისათვის.

ბაჯელიძე: — ღვინოს არ იძლევა „ნარკომშემის“ საწყობი და რა გქნაო?

ალექს: — ვინ არის საწყობის გამგე?

ბაჯელიძე: — ვიღაც მუშაა და ასე მიიხრა: — ყოველდღე, რომ სამიოთხი გიღრო ღვინო მიგაქვთ, ხომ არ ვაქრობთო?

ალექს: — გლახა ხარ, ბიჭო, გლახა. დაპატიჟე თვითონ ხვალისათვის.

თამარა: — ალექსანდრე, ჩარლსტონი კაბა მინდა ხვალისათვის და ფული არა მაქვს.

ალექს. (ბუღალტერს): — მიეცით შევებულების ფული მეტრეველს და გაუშვით შევებულებაში.

ბუღალტერი: — ბატონო, მაგ ცოტა ხანია მუშაობს და შევებულება არ ერგება.

ალექს: — შენ ვიღაც კონტრივოლ უციონერი ხარ

ჩანტლაძე: — ზურნას გაურიგდი, ზორბა დამკვრელებია.

ალექს: — (მღერის კაბინეტში): სამი რამ მიკვარს ამ ქვეყნად:

ღვინო, დღღუკი, ქალები;

ღვინოს ვსვან, დღღუკს ვამღერებ, ქალებო გენაცვალებით.

თამარა: — ალექსანდრე, ხომ იცი იქ ჩვენთან იქნებიან ისეთი ქალები, რომელთან უშნო არმიყობა არ შეიძლება.

ალექს: — ორიოდ სიტყვის მეტს არ ვეტყვი და იმ ორ სიტყვას თუ ვერ გაიგონებს, რომ ვაკოცებ მაშინ ხომ მიხვდებიან.

თამარა (ქეიფის მესამე დღეს): — ჩემო ტარიელ, თქვენი უჯრედის კოლექტივის ბიუროს მდივანია თუ „ერკაი“, ხშირად შემოდის აქ ჩვენს საწყობში და კონტროლს უწევს იმ ქალებებს, რომლითაც შენ იძლევი განკარგულებას ფულისა და საჩინლის გაცემის შესახებ.

ალექს: — ზახვსაც ვერ ჩამათლიან კისერში.

თამარა: — არა, ალექსანდრე, სახუმრო საქმე არ ხდება, რაღაც „ერკაის“ კომისია მოდისო, ამბობენ და საქმე არ წახდეს.

ალექს: — არაფერიც არ წახდება. ვერაფერსაც ვერ მიზამენ. შენ არხეინად იყავ. მე მოსკოვში მივდივარ მივინებთაში და შენ შევებულებაში გავიშობ. გაათავონ რევიზიები და მე რე მეც ჩამოვალ და შენც მოდი. მანამდე კი პასუხი გვარამაშვილმა და სულიკაშვილმა აგონ.

თამარა: — ეს საქმე ასე არ ჩაივლის; რაღაცას გვიზამენ. ნეტა რას გვიზამენ?..

ბაჯელიძე: — ჩავაჯენენ.

ჩანტლაძე: ჩამოგვაწერენ ფულს ვითომ?

ალექს: — ორდენსაც მომცემენ არ ტელში საქმის კარგად დაყენებისათვის.

გვარამაშვილი: — შავსიელებით რომ გავსე მთელი არტელი, აღმინისტრატული ხარჯები გაადიდე. — ამი სთიის მოგცემენ ორდენს?

ბუღალტერი: — ყველას გეტრიებათ დედა. ვნახოთ თუ შეგრიებათ ყოველდღე ქალაქ - გარეთ ქეიფი.

სულიკაშვილი: — ყველას ხეტირე შედეგი, თუ კომისიამ ვერ მიანო გაფლანგული ფული, ხომ კარგი...

თამარა: — არ შეგვრჩება... არ შეგვრჩება!

მობზაურობა გურიასი

გურიაში გიანელი,
მოვიარე მთა და ველი:
ვნახე ფაქტი უამრავი,
ნიანგის კბილ-გასაკრავი.
უნდა მივეყვებოდე რიგ-რიგობით
და ავწერო იქ ნახული,
რომ მაგნებლებს შუბლში მოხედეს

ისარი წვერ-გამახული.
კარგის მომქმედს საქმე ვუქო
და საერთოდ გავაშუქო
გურიისა კარგი—ავი
რაც რომ ვნახე სანახავი.

I.

ნატანებში რომ ჩავედი
დილა იყო მშვენიერი;
მიწა ცვარით ციალებდა
ცას შეენოდა ლურჯი ფერი.
გურიისა ამაყ მთებით
ცეცხლის ისრებს მზე ისროდა,
და დაფენილ ველ-მინდვრებში
გრილი სიო ნახად ქროდა.
გამაცოცხლა მეც ბუნებამ,
გამიფანტა ფიჭვი ფუჭვი,
მაგრამ ამ დროს ის წყეული
აღრიალდა ჩემი კუჭვი;
დამავიწყა პოეზია,
მოითხოვა თავის ვალი,
(კუჭთან ბრძოლით რას გახდები,
დიდი არის მისი ძალი).
და მეც ბუფეტს მივაშურე,
ხალხით იყო სავსე იგი,
ნაგავ-მტვერით გაძინებული
როგორც არის წესი—რივი.
გამოფენილ საქმელებსა
ეტყობოდა იყო ძველი,
რომლებზედაც ზუსტუნებდა
ბოზებისა გროვა მთელი.
იქვე იდგა ვაჟი მოყმე

თვალს იფშენეტდა, თავს იქეჭდა,
ბუზებს ცხვირზე იშორებდა,
ზოგს იქერდა, ზოგსაც ჭყლეტდა,
— ჩაი თუ გაქვთ? — ვკითხე ფრთხილად,—

მომიტანეთ ერთი ჭიქა! —
მან ამრეზით შემომხედა,
წელშიც ცოტა გაიზნიქა,
მითხრა: ჩაის, ამხანაგო,
არ ვაკეთებთ, არ გვაქვს ჩაი,
სხვა საქმელი ჭამე თუ გსურს.
და იოლად მითი წაი;
ჭადი, ხორცი, ყველი, კიტრი
თითო ლუკმა ღირს თუმანი.
(ერთი ანგლად კი გავხედე,
მაგრამ მყისვე ვუქენ განი).

მუშკოობის სასადილოს
იქვე კარზე მივადექი
და ნოქარმა შეკითხვაზე
მიპასუხა თავის ქეჩით:

— ჩვენ შეჭამანდს, ამხანაგო,
არ ვაკეთებთ ბორშის გარდა;
პურს ვერ მოგცემთ, რადგან იგი
სხვას მიეყიდეთ ამ წუთს ნარდათ.
უპუროდაც შეიძლება
ჭამო ბორში, თუ კი გზია,
არ გცოდნია—ასე ჭამა
ჩვენი კვების კანონშია?

— ჩაი არ გაქვთ?
— სად გვაქვს ჩაი
ვერ ხედავ ველს ფოთოლიანს.
აი, იმას მოგკრფეთ მალე,
როს ვიხილავთ დღესა მზიანს,
და გავახმოთ, — გავაკეთებთ,
ხომ ხედავ აქ ბევრი არი,
შემდეგ მოდი და მოგართმევთ
რამდენიც გსურს გადაჯკარი!
შემდეგი იქნება.

მ. შხუნელი.

ქურდობის წინააღმდეგ (ზადმოღვაშულია რუსულიდან)

შემოდგომის გრილი საღამო იყო...
კომერციულ ფურნის საკმაოდ ძვირ-
ფასიანი შავი პურის ნატებით შეი-
არაღებულმა მოქალაქემ კომერციულ
სასადილო-სახაიეში შეალაჯა. ბრძო-
ლითა და დედის გინებით, როგორც
იქნა, ღელო გაიტანა და ჭიქა ჩაიზე
გამარჯვების დროსა ააფრიალა.

— ძამია, საქმეზე მოვიანდება და
რაც შეიძლება ჩქარა გამომიცვალე
ეს ჩაის კოვზი; ხომ ხედავ — ნახვრე-
ტიანია!

— რაო?? რის ნახვრეტი? რა ნახ-
ვრეტი?

— როგორ, არ გჯერა. ეს განა ნახვ-
რეტი არ არის?

კლიენტმა მიიღო კოვზი თვალზე
და განაგრძო:

— აი, ძნო, ამ ნახვრეტიდან შენც
კო დაგინახე.

— ჰოო, ეს ასეც უნდა იყოს, ოლი-
მპიურ სიმშვიდით უპასუხა გამყიდ-
ველმა.

— რატომ? რისთვის? მიპასუხე
ჩქარა, გამიცვიდა ჩაი, — ყვირის
კლიენტი.

— იმიტომ, რომ ეს ნახვრეტები
სულ ჩემი ხელითაა ნაკეთები.

შენ რომ იცოდე, რამდენი ლურ-
სმანი და ღონე შევალე ამ საქმეს!
აბა გასინჯე თუ ყველა კოვზები
დახვრეტილი არ არის.

— მერე რატომ მაგნებლობ შე ოხ..
— დაიღრიალა კლიენტი.

კეკლუცმა გამყიდველმა „სეკრეტ-
ნათ“ გაიხ-გამოხედა, გადაიწია და
ელვის სისწრაფით ჩასჩურჩულა სტუ-
მარს:

— იპარავენ, გენაცვალე, იპარავენ
და რომ გახვრეტ, მერე მისი წაღების
ინტერესი ვილას ექნება!

— ქურდობაზე თუ არის საქმე მა-
შინ თქვენ სხვაც ბევრი გაქვთ აქ
დასაცავი. ჭიქებს ეხუმრები თქვენ!
სად შუშა და სად ორ გრამის ფასიანი
ჩაის კოვზი. ჭიქებს მოუარეთ, ჭიქებს.

— მაგის შესახებ უკვე ვიფიქ-
რებთ და გადავსწყვიტეთ ჭიქებიც და
ეხვრიტოთ და პრობკებით დავცოთ—
რისით უპასუხა გამყიდველმა ქალი-
შვილმა.

— აბა, ჩანგლების „გადარჩენა“ მა-
რთლა „პუსტიაკი“ საქმე! — მცოდ-
ნის გამომეტყველებით განაცხადა თავის
მხრავ კლიენტმა.


— როგორ? რანაირად? — გაოცე-
ბით და სიხარულით შესძახა მსახუ-
რმა.

— როგორ, შენი ჭირიმე, და სამ
კბილიან ჩანგალს ორი შეატეხე, ოთხ
კბილიანს სამი და დარჩენილ ცალ
კბილიანს ვერა მოჰკიდებს ხელს!

— ოო, ეს მართლა კარგი გვასწავ-
ლე! — გაუხარდა მსახურს. მ. ზ.

სოფლის სიამაყე

ნ.ხ. ქიქოძის.



წინეთ და ეხლა



ტუფლები

ძმა-ბიჭები

ქუთაისის ქუჩებში სიჩუმემ და სიბნელემ სეირნობა დაიწყეს, როგორც ორსულმა ქალმა და ნაბღიანმა კაცმა. (ზოგაერთი მწერლების მიზაძვია)

რაჟდენ კაკაბაძემ ჩაიკეტა კოოპერატივის კარები, მიუჯდა მაგიდას და სატრფოს წერილი მისწერა:

**ქალო, შენმა სიყვრულმა
დამაჭკნო და დამანელა.
შემიყვარე, თანამიგრძნე,
ან ჩამეცი დანა ნელა.**

მაილო სატრფომ წერილი, წაიკითხა და თვლებზე ცრემლების მტევანი ჩემოეკიდა.

რაჟდენს მისწერა:

**ე სკარგია ყველაფერი, —
მაგრამ იგი დამიუფლებს,
ვინც ამოდენ სიყვარულთან
თან მომიძღვნის ახალ ტუფლებს.**

სიხარულისაგან რაჟდენი ისე გაიზარდა, რომ ცას ხელი ნოავლო. მას მოეჩვენა, რომ ცამ პირი გააღო, იქიდან ოქროს კალათში გადმოეშვა სატრფო. გული დაფეხვილ ქათამივით უხტოდა სიხარულისაგან. ოლიმპიდან დაიძრა ცხრა მუზა, შემოესიენ და დააწერინეს წერილი სატრფოსადმი:

**ჩამო.. ჩემო.. ჩემო.. ჩემო!
დაგანაცვლემ კოოპერატივს.
შიგ რაც არის სულ შენია;
არ მოგაკლებ ძღვენს და პატივს.**

მეორე დღეს რაჟდენის სატრფოს „საზღვარგარეთელი“ ტუფლები ეცვა. ღამენათევი და დაქანცული რაჟდენი კოოპერატივში ზანტად მუშაობდა.

— რაჟდენ! თქვენ დასვენება გჭირიათ. გეტყობათ — დაღალული ხართ! — უთხრეს მას.

— ძალიან დაღლილი ვარ. წუხელის..! — დაიწყო რაჟდენმა, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღარ დაემთავრებინეს:

— ვიცით, ვიცით ეს ამბავი! — და რაჟდენი წაიყვანეს დასასვენებლად გამსახლში.

რაჟდენი ხშირად მოადგება გამსახლის პატარა ფანჯარას და სევდიანათ აღიღინდება:

**სატრფოს იგი დაიუფლებს
ვინც მიართმევს ახალ ტუფლებს.**

ქუთაისის ბაღის ერთ კუთხეში კრება ჰქონდათ ბურჯანიძეს, მიწას, ხაჯბერაძეს და აკაკის. (ზოგიერთის გვარების გაგება ვერ შესძლო ავტორმა და ამიტომ მხოლოდ სახელებს აღნიშნავს).

ნოსტენებას აკეთებდა გაბრაზებული ბურჯანიძე:

— ამხანაგებო, ჩვენ თუ თავი ასე ავაშვებინეთ ამ მუშკორებს, ახლო ხანში გაფლანგვა კი არა, უთავბოლო მოვლენებიც მოგვესპობა, მერე დაჯექით მარტო ჯამაგირზე და ჩეჩეთ მატყლი!

— მატყლის დაჩეჩამდე, მათ მათ დაეჩეჩავთ! — დაუმატა მიწამ.

— დედას ვუტირებთ ყველა მუშკორებს! — და ხელი გაისვა ჯანგიან ხმალზე ხაჯბერაძემ.

— ვინცა იგი ბუხაიძეა, ისეთი „ბუხ“ უქნა, რომ დაავიწყდეს თავისი ბუხაიძობა! — დაჰკრა მუშტი აკაკიმ.

— ჰო-და, ემხანაგებო, რა უნდათ ჩვენგან. რას მიედმოვლებიან. რისი კოლექტივიო? რისი ესო. რისი ისო? ხელო უნდა მიამტკრიო მასეთებს, რომ მეორეჯერ ვერ დისწეროს ასეთი სისულელე! — ამბობდა ბურჯანიძე.

— ხელ იკი არა, თავი უნდა გაუტყეყო, რომ აღარ შეეძლოს ასეთი ამბების გამოქექვა და წერილების შეთხზვა! — გაააცხადა მიწამ.

— მე კი მგონია, ამხანაგებო, რომ სჯობს ცხვირი გავუტეხოთ, ვინაიდან ის ცხვირია ქვეყნისა და ჩვენი დამქცევი. იმ ცხვირმა უყნოსა ჩვენი ამბები. დიახ! ცხვირია დამნაშავე და ცხვირზე უნდა ვიძიოთ შურნი! — შემოიტანა წინადადება აკაკიმ.

— კარგია, კარგია... ძირს მუშკორის ცხვირი! — და ძმა-ბიჭები გაუღდენ ბუხაიძის საძებნელად. ბევრი ეძიეს თუ ცოტა ეძებეს, შეხვდენ მუშკორს და საერთო კრების განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. მილიციამ. როგორც იქნა ერთ-ერთ მათგანს (აკაკის) გაუბედა დაპატიმრება, მაგრამ როგორც კი გრიგოლაშვილი გამოჩნდა, ბოდიში მოიხადა და აკაკი გაანთავისუფლა.

— იმ ბიჭს უთხარით, რომ ჭკუა ისწავლოს და თავს ნუ შემომაკლავს! — შეუთვალა მუშკორს განთავისუფლებულმა აკაკიმ.

კინკარი.

„საჭირო იარაღების უქონლობის გამო საუბარიკო სკოლებში ცუდათ არის დაყენებული პოლიტენიზაციის გატარება“.

ნახ. ალდანოვის





საშურის კინოს სახელი
თუმცა დიდი ხანი უცვალეს,
მაგრამ წარწერა იგივე
ჰერეთ ვერ გამოუცვალეს.

ადგილი ახი კაცისთვის,
ბილეთს ჰყიდიან ორასის,
ამიტომ წუ გაკვირდებით,
ერთმანეთს ხალხი თუ აზის..

სენსებს გვიან იწყებენ
დილაზე გინდათ ლოდინი,
და მაყურებლებს თან მოაქვთ
დასაძინებლად ლოგინი.

რა-ძე

ახალ დაბის თემში

მცევა, მცევა, მაკანკალებს
არ მახურავს თავზე ქული.
ოთხწელიწადს მაშენებენ,
ბედი შემხვდა ავი, ცული.
დანთავრება არ მეღიოსა
მანგრევეს წვიმა ქარის ქროლა,
ნეტა როდის ავშენდები
კორტანეთის შრომის სკოლა?
-- შენ ჩემი სოჭვი; შეგეკუნ-
ტულვარ
უბედური ამ ფაცხაში;

მთელი სკოლა ავრეულვართ,
ვიხარშებით როგორც ხაში!—
აიგმინა ნექვის სკოლამ
ნაძვთა შორის დასკუპულმა
ჭაჭარაქმა ველარ გასძლო
ბრაზისაგან ანთებულმა:
-- თქვენ რას ჩივით. ვერ მიყუ-
რებთ.
სულ არა მაქვს სკოლის ბინა!
სარდო კარში გვერეკება,

აღმასკომმაც დაიძინა.
წითელ ხეგამ გადმოსწყვილა
და აღმართა მჯილი მალლა:
-- სკოლა თვალით არ მინახავს,
პეყო ბნელში ყოფნა, მალვა.
ახალდაბა გაღმა ჰყივის.
-- რად წაივდეთ ყველამ ენა?
ჩემი სკოლა თქვენ რომ ნახოთ,
შეგეცვლეთათ შხამათ ლხენა.
პაულ.

ლამის თორმეტ საათზე, როცა აღნასკომის საათი ამდენჯერვე დატრეხს, საინტერესოა კეთილ-მოწყობის განყოფილებაში ყოფნა.

არავინ არის. სიჩუმეა.

ქალღმერთები იწყებენ ლაპარაკს:

— ვაიმე, მიშველეთ!

— ვიხრჩობი მაულის ქვეშ. ექვსი ოცეა აქ ვგლივარ. ზამთარი მინც იყო.

— ჩამაკერეს საქმეში, გამირჩევს გვერდებში სადგისი, გამიყარეს ბაწარი, და ამირანით მიმჯაჭვეს არქივს.

— ჰაერი, ჰაერი!

ქალღმერთები გამოდიან გამგის მაგიდაზე და იწყებენ ბჭობას.

— (მე შეაფხის კუთხეში ვარ მიმალული და ვუსმენ მათ).

— ამხანაგებო, — ამბობს ერთი განცხადება, — ჩვენ მოვუსმინოთ ერთმანეთს თავთავიანთი გასაჭირი. შემდეგ გამოვიტანოთ საერთო დადგენილება და გავუვზავნოთ მუშგლებინს, რომ ყურადღება მოგვაქციოს, თორემ ჩვენი წუწუნნი და გასაჭირი აქ არავის ესმის!

— კარგი აზრია, მაგრე ვქნათ! — დაეთანხმენ სხვა განცხადებები, თხოვნები, დადგენილებები და ოქმები.

— სიტყვა ეკუთვნის ამხ. „ხ.—24—13662“-ს.

წამოღდა „ხ.—24—13662“ და დაიწყო თავისი თავდადასავალი:

— ამხანაგებო, რა თქმა უნდა ყველა ის გასაჭირი, რაც მე გადახედენია, აქ არ ჩამოითვლება, მაგრამ ზოგიერთს მინც ვიტყვი.

ჩემი შინაარსი ეს არის:

აღმ. კეთ.-მოწყ. განყოფილება.

მეზობელმა აივანზე გააკეთა ტიხრი, რომლის იქითაც მოქცეულია საერთო საპირფარეზო. იქვე მოაწყო სამზარეულო. ვინაიდან ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება სახლის ტენიკას, გთხოვთ ალადგინოთ ნორმალური მდგომარეობა.

აი, დაახლოებით ეს არის ჩემი შინაარსი.

მაბოლოც, ინჟენერმა მაისკიმ (თუ არ ვცდები) მაშინვე დაათვალიერა ადგილობრივად და ჩემი მოთხოვნილება კანონიერად სცნო. ვასცა შესაფერისი განკარგულება:

მილიციას და სახანძრო რაზმს

მიეცით მოქ. ზარაძეს წინადადება — დაუყოვნებლივ აღდოს აივანზე ტიხრი, რომელიც ქნის ხანძრის საშიშროებას.

ეს განკარგოლება გადაეცა მემანანეს გადასაბეჭდათ.

მემანქანემ „ზარაძის“ მაგიერ

დაბეჭდა „სირაძე“ (ალბად ვინმე სირაძეზე თუ იყო შეყვარებული). მილიციას ბიირი ეძია აღნიშნულ მისამართით სირაძე, მაგრამ ვერ ნახა (ან და როგორ ნახავდა, როცა იმ სახლში სირაძე არავინ იყო). და მიმართვას უკან ასე წააწერა: „ასეთი ატ აღმოჩნდა“.

— „არ აღმოჩნდა“ და მით უკეთესი! — გაიფიქრა საქმის მწარმოებელმა და ჩააგდო არქივში. (კი არ შეადარა ერთმანეთს ზარაძე და სირაძე).

გავიდა თვეზე მეტი. მომაკითხეს. მომაკითხეს და შეუტყეს ჩემს პატრონს:

— თქვენ რას მიედ-მოედებით? თქვენს სახლში სირაძე თურმე არც კი ცხოვრობს!

ერთი სიტყვით, გამოაშკარავდა კანცელარიის უთავობა.

— ჰოო, ჩვენს მემანქანეს შესცდენია. ხელახლა გავვზავნით! — უთხრეს და გაისტუმრეს.

სახანძრო რაზმმა ისევ მაულის ქვეშ ამოსდო მიმართვა.

— რა ჩვენი საქმეა ეს! — გაბრაზდა სახანძრო რაზმის ინსპექტორი შარაშიძე.

— როგორ თუ რა თქვენი საქმეა? აკი გწერენ, რომ ხანძრის მხრივ საშიშროება მოელის სახლს. თქვენ ვალდებული ხართ ზომები მიიღოთ! — გაუბედა ჩემმა პატრონმა.

— გთხოვთ ჩვენს საქმეში ნუ ერევი. ჩვენ კარგად ვიცით, ჩვენი მოვალეობა: თუ ხანძარი გაჩნდება, მოვალთ და ჩავაქრობთ. აი, ჩვენი მოვალეობა.

— მაშ აღმასკომი რატომ გიგზავნის ამ ქალღმერთს?

— თქვენ გგონიათ აღმასკომში ბევრი რამ იციან? ამით თქვენ მოგიშორათ თავიდან!

ასეთი პასუხი მიიღო შარაშიძისაგან.

სამაგიეროდ მილიცია მისულიყო და გაეცხადებინა მოქ. ზარაძისათვის აღმ. კეთ.-მოწყ. განყოფილების განკარგულება, მილიციამ ზურგზე წააწერა განკარგულება: „შესრულებულია“.

— თუ „შესრულებულია“ ჩვენც ეს გვინდა! — სთქვას კანცილარიისი და თავი უკროს არქივში.

— რა ჰქონით ჩემი განრხადების

შესახებ? — ჰკითხა კანცელარიის, ჩემმა პატრონმა.

— „შესრულებულია“.

— არაფერიც არ არის შესრულებული, ისევ ისეა.

ერთი სიტყვით, რა ბევრი გავაგრძელო, ათჯერ მინც მომიხდა მილიცია — სახანძრო რაზმი — აღმასკომის მარშრუტის შემოვლა. გავიდა ზამთარი. გავიდა გაზაფხული. გავიდა ზაფხული. დადგა შემოდგომა; მე დამათრევედენ და დამათრევედენ ოთახიდან ოთახში, მილიციიდან — მილიციაში. შედგა ჩემს შესახებ ვებერთელა საქმე. მთელი ორი თვის განმავლობაში, ისიც ზაფხულში ინრენერ ხომეზურაშვილის პორტფელში და მაულის ქვეშ ვიხრჩობოდი. „დღეს მოდი“... „ხვალ მოდი“. „ახლა არ მცალია“... „თქვენ წადით და გაკეთდება“ — აი პასუხი, რომლითაც ჰკვებავდენ ჩემს პატრონს.

უკანასკნელად ახალი განცხადება შემოიტანა იმის შესახებ, რომ ცნობა მიეცათ.

ისევ დაიწყო თავიდან ვალაკიტა.

„დააჯარიმეთ“, „აიღეთ ტიხრი“... „პროკურორს გადაეცით“... იმის სიტყვები, მაგრამ ბიუროკრატიზმი ზის თავის ადგილას, ისმენს ამ აურ-ხაურს და იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მილიციას თურმე ასე ესმის „შესრულება“ — ხომ გამოუტყვადეს ხელმეორე მიმართვაზე დაეზარა ხელმეორედ მისვლა და წააწერა: „გამოცხადდა, შესრულებულია“.

ერთი სიტყვით აქ ისეთი ქაოსაა, როგორც პირველად იყო ქვეყნის შექმნამდე. „ძალი ბატრონს ვერ ცნობილობს“, რომ იტვიან, სწორედ ისეთი ამბავია.


— ნუ გეშინიათ, ყველაფერს „ნიანგში“ გავსწერ და თქვენც მოგექცევთ უურადლებად! — ველარ მოვითმინე და წარვსდექი მათ წინაშე.

ქალღმერთები დაფრთხენ.

— ხა-ხა-ხა-ხა! — გადიხარხარეს ერთხმად. — რა გულუბრყვილო ვინმე ყოველხართ. — და უცხად ყველა გაქრა.

— ეს სადაური კეთილ-მოწყობაა?! — ვფიქრობდი რედაქციისკენ მიზავალი.


ზანგი.



ახალგაზრდა მხატვრები

ნახ. კალანდამის ღანჩხუთი.

ნახ. ჭიკობის.




კაპიტალიზმი:—ყველაზე და ყველაფერზე უფრო ძვნი არიან საშინაოი. სოც.-დემ. (თავისთვის):—ნეტავი რამე შემეძლოს ამთ წინააღმდეგ, როგორ გაეხარებდი ჩემს ბატონს.

— ჩემი ცოდვა შექნდეს, ვინც ამოდენა სახელმძღვანელო დასწერა ჩემთვის

იხ. მიწანდარის.

ნახ. რაჭმაძის.

ნახ. -ასტვანცატშრომის, ტფილასი.



— შურა, გენაცვალე, ხომ გახსოვს წინედ როგორ გვიყვარდა ერთმანეთი?! სხვათა შორის ჩემი ქმარი სამსახურს ეძებს...

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს; ეხლაც ძალიან მიყვარხარ, ჩემო კარგო... სხვათა შორის გაშვებინდეს და ეხლა უმუშევრად ვარ.

— წამო, მუშაობში თურმე ტანსაცმელს იძლევიან.

— არა, ძაო, რომ წამოვიდე, რაც მაცვია, როგში იმასაც დამატოვებინებენ!

— ჩვენ ვიცით, რომ მიწა ბრუნავს, მაგრამ როგორ არის, რომ ხალხი არ ვარდებო?

მოწაფე:—იმიტომ, რომ ყველა მიმაგრებულია სასურსათო წერტილებზე

გუზუმი ქუჩები ფართოა გავლუ კი სასიფაოროა


(სოფელი გუზი)

დღემდი ასამდი დახზა სამოსი სისხლით ნაღებო ამ ნიადაგზე ძვირდებო ქული, ხალათი, წალები. მასში მალალი ტემპებოთ ჩაბმულა კომკავშირია.

(თუმცა სხვაც ბევრი გადახრა აქ ინაო წრემი ხშირია), და რელიგიურ უქმებუ აქტიურობენ ძეურადა; ხელმძღვანელიც სდუმს ჯიუტათ, ფიქრობს რალაცას ბოძულადა.

ნიანგო, დინგი უბიძგე, არ მოერიდო წყენასა, თორემ თუ შერჩა მელასა, ის მოუმატებს კბენასა.

კირიხტი.



ავრონომი კლასურებებს „ახსავლის“ და „უხსნის“ ავ. რონომიულ საკითხებს

სცენა სამტრედიის საფ. არტელ „დგიმში“

სერგო ლომთაძე: — ბიჭებო, რა გვეწველებათ! აპარატის წმენდა და იჭყო და მგონი ჩვენც ვართ გასაწმენდთა სიაში.

ილია და ვასო: — რა იყო ბიჭო, ჩურჩი ნამდვილად ხომ არ ვართ თუ რა?

სერგო: — ეს დანამდვილებით არ კიცი, მაგრამ რომ ვიქნებით, ამას ლა პარაკი არ უნდა.

ილია ბეჭაია (დაწყნარებულათ): — არა უშავს თუ დანამდვილებით არ იცი.

ვასო შენგელია: — ეხლავე გავიციოთ.

სამივე: — გავიგოთ, გავიგოთ აუკვირებლად.

ვასო: — ამხანაგებო, მე არ ძალმიძს, მე ვერ გადვიტან, გული სხვას შეუბნება, დაფუკვირდეთ ჩვენს გან-

ვლილ მოქმედებას. ოოხ! მე ყველაფერი თვალწინ გადამეშალა. მოიგონეთ ჩვენი ჩადენილი სხვადასხვა ოინებში.

სერგო და ილია: — ბიჭო, რავე წახლი! რა მოგივიდა?

ვასო: — მეშინია, ძმებო, მეშინია. ჩვენ დაწინაურება დავპირდით ვანო ანდრიძეს. ღამის სმენაში ნამუშევარ კაცს ჩვენს ყანასა და ბოსტანში ვამუშავებთ, გასამრჯელოს არაფერს ვაძლევთ. მის დაწინაურებას კი საშველი არ დაადგა.

ილია: — ეხ, რა სისულელს ამბობ! მაგას ვინ გაიგებს, როცა ის ვერ გაგვიგებს, რომ მუშების სახელით ათ აგვისტოს „ეპოს“ ფურნიდან 40 კილო პური გამოვიტანეთ და გავციდეთ.

ამას წინედ კიდეც „ეპოს“ მალაზიიდან საქონელი გავიტანეთ მუშე-

ბის სახელით და გზაზე გავიყავით.

სერგო (გახარებულთ): — ვართალს ამბობს ილია. კიდეც რომ იცოდენ, მერე რა! ჩვენ ხელში არიან. დედას ვუტირებთ ყველას. გაბედავს ვინმე რამეს და დგიმს დაემშვიდობება. ხომ იცით ტაბიძე რატომ მოეხსენიოთ. ჩვენს ნება - სურვილებს წინ აღუდგა. გოგონა კანტორაში მყავდა და სილა გამაწუნა გოგოს გადახვევისათვის.

ვასო: — ბეტრე კუჭუხიძე, რომ არ გვყავს?

სერგო: — ნუ გეშინიათ!

ილია: — წავიდეთ, ერთი მაგრად ჩველით და გამოსავალ გზებზეც გამოინახება!

ყველანი: — წავიდეთ, წავიდეთ! (მიდიან).

ნიანგის საკბილო

აგდენი სანი ჩამდენი
გურჩინი რაშდენი.

სენთის აღმასკომის თავმჯდომარე რაჟდინ გორჩინი დღე და ღამე კულაკებთან ქეიფობს. ღარიბ გლეხებს მათრახით უმასპინძლებდა, ეწემა თვითონ მარაბას.

საზინგაი ტარიელ-ოვს
ეფრემიძე ტარიელ-ოვს.

ხორაგოლის საფინგანის გამგე ვანო ეფრემიძე რევოლვერით მოკვლას უპირებდა კოლმეურნეობის მდივანს კიქნაძეს წითელ სასადილოში ქეიფის დროს.

კირკიტა:

ფითია და მანაფარა
ბოსლეველი თავმჯდომარე.

ბოსლევის (ზესტაფონის რაიონი) თემის აღმასკომის თავმჯდომარე გლეხებს უწმინდურად ხვდება; სასახურში არასოდეს არ არის, რადგან დეფიციტური საქონლის ზიდვას უნდება კოოპერატივიდან.

ოლეტივისტი.



მე სვანეთში გაბატონული ვარ როგორც „დიდი მოაძაგე“ რაც კი ვნახე აღმასკომში ყველა სახლში მივალაგე.

რა ვეყოთ, რომ მასწავლებელს (კვაჭაძეა მგონი გვარად), მე ოთახში შევეუძვერი და დავტოვე ცის ამარად.

მასწავლებლის ბინა იყო ჩემთვის ციხე ასადები, მაგრამ დიდათ გამომადლა, მორგებული გასადები

ეს რა არის, იმ ამბებთან, რაც რომ მე მაქვს ჩანადენი: ერთხელ როცა კულაკისას გავილეზე მე, რაჟდენი,

და, როდესაც მოვიდიორი, გზაში შემხვდა გლეხი ვინმე; არ დამიჯდა რაღაც თვალში და ამიტომ ახლოს ვინმე.

მართალია, მას არ უთქვამს არაფერი დასაძრახი, — მაგრამ ხოშის მოსაკლავად გადავუსვი მას მათრახი.

გლეხებს უნდა ეშინოდეთ, ეშინოდეთ, მაშა! ჩემი ამიტომაც მე ბევრი მყავს მინატყები და ნაცემი,

პოლიტიკურ კამპანიებს არ ვაფასებ არცა ჩირად; ისე რაჯულზე კი ვქეიფობ კულაკებთან ხოლმე ხშირად.

იო.

საფინგანი აბაოია

ეფრემიძეს, ამ ჩენის ვაძოს; ჰხადს, ეს ვაჟი რომ ნიანგმა აღრიცხვაზე აიყვანოს.

იმის ნაცვლად, რომ ფინგანში ტრიალედეს თავის ბუდეს, მზად არის, რომ რესტორანში დღე და ღამე კვარტებს უჯდეს.

კული ზნე სჭირს ამ ვაჟბატონს— ადიდოთ და უნდა აქოთ, თორემ თვრალმა თუ მოგისწორო, ასტებს შფოთს და ალიაქოთს.

გროშის საქმეს არ აკეთებს, იბერება როგორც გუდა; საჩხუბრად და საკინკლაოდ რევოლვერი თან აქვს მუდამ.

ბოსლევი აკვავს თავმჯდომარე, მიქაბერიძე გვარადა,

გლეხობა მასთან ვერ მიდის უღდაზღვე არის მწყურალადა. ტკბილი სალამი რომ მისცეთ, მაგრეს გეტყვის მყურალადა;

„ეპო“—დან საქონელს ზიდვას ნაჭრობითა და ცალადა. თემის სჭირო საქმენი არ მიაჩნია ჩალადა,

ბევრი რამ მიაქვს კასიდან. მას ხელს მოსაცვალადა; ბევრი რამ თქმულა, აწერილა.

ამ გმირის შესაცვალადა, — მაგრამ სულ ფუჭი გამოდგა და დაბარპაშობს კვალადა.

ყ უ რ მ ო კ რ უ ლ ი

(ქვემო - ავჭალა, კასპის რაიონი)

ერთი კვინა დამჭირდა ცდა. ვიღ- რე სამკლითხველოს გააღებდენ.

— ამხანაგო, მომეციო „ნიანგის“ უკანასკნელი ნომერი.

— რაო? ნიანგო! აქ ხომ ზოოპარკი არ არის?

— არა, ამხანაგო; უურნალზე გელაპარაკებით, გახ. „მუშას“ დამატება რომ არის.

— ჰო, „მუშას“ ვღებულობთ, ხოლო ეს უურნალი შეიძლება ახალი არის და ჯერ არ მიგვიღია.

— ამ სოფლად, სამთავისში კლუბი თუ არსებობს?



— კლუბი? როგორ არა! ჩვენისთანა კლუბი მთელ კასპის რაიონში ირ არის, მაგრამ ადგილობრივ დრამ- წრეს საღათას ძილით სძინავს.

— რადიო თუ გაქვით?

— ჰე, რა თუცი. ავ ერთი წელიწადია, რაც „მონრატულმა“ (ანუ ებახან ადგილობრივ რადიოტექნიკს) მავთული გააბა, მაგრამ ზოდები ბოძებდ დარჩა და მავთული-მავთულად.

სატანა.

ნახ. მარიაშის



რა ხდება სანიანგოში

ფოსტა ხუთდღიან კვირაზე
ველისციხე. ველისციხის ფოსტა დიდი ხანია გადავიდა ხუთდღიან განუწყვეტელ კვირაზე. წერილებს ყუთიდან მხოლოდ მეხუთე დღეს იღებენ. ფოსტის გამგე ძალიან კმაყოფილია თავისი გამარჯვებით.

ციხვი.

ცხვრის დამზადება

მადაროს-კარი. მადაროს-კარის საწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარე **ლ. ჩხეიძე** ცხვრის დამზადების კამპანიას წარმატებით ატარებს. დამზადებული ცხვრის 40 პროცენტი თავის ოჯახის და ნათესავების მოსალონებრებელ ფონდში აქვს გადარიცხული. **აკაურის.**

გაუარკვევლობა

აჭარის-წყალი. ადგილობრივი კოლპერატის გამგე ლორთქიფანიძე გარკვეულ მდგომარეობაში ნახა სარევიზიო კომისიამ. კოლპერატის საქონელი სადღაც გამქრალიყო, ფული საღაროში არ იყო, და განცვიფრებული გამგე ყველაფერზე გაუარკვეველ პასუხს იძლეოდა. ლორთქიფანიძე მდგომარეობის გამოსარკვევად გაგზავნილ იქნა გამასწორებელ სახლში. კომისიისთვის დღესაც გამოუარკვეველია რამდენი შიირთვა ლორთქიფანიძემ.

იხვი.

გამოგონება

ახალ-სენაკი. ახალ-სენაკში პედაგოგიურ ტექნიკუმში ტურისტები წააწყდნენ იშვიათ გამოგონებას. ლაბორატორიების საცდელი მაგიდები გაკეთებული არის ულურსმით, — ნატურალურ წებოზე. მართალია, მაგიდები უბრალო შეხებასაც ვერ უძლებენ, მაგრამ ლურსმანის ეკონომიის თვალსაზრისით ეს დიდ მიღწევად

ვად შიანიათ ადგილობრივ განათლებულ მუშაკებს. გამომგონებელს დაეძებენ დასაჯილდოვებლად.

კრიჭა.

სამკითხველოს დაკარგვა

ზუგდიდი. დაიკარგა ზუგდიდის სამკითხველო. გამგე შალვა დგებუაძე უნებლად გადაარჩა და სისტემატიურად დებულობს ჯამაგირს. სამკითხველო ადმოსაჩენად არავინ ზომება არ დებულობს. ეჭვებია, რომ სამკითხველო ცინკოგრაფიამ ჩაყლაპა.

მძლეული.

გარდაცვალება

გარე - კახეთი. გარდაიცვალა სარაიონო კულტურული საბჭო; რაიონის სკოლები, ქოხ-სამკითხველოები და თეატრები იზიარებენ ალექსანდრე კვაჭაძის ღრმა მწუხარებას. სამძიმრის დეპუტების გამოგზავნაზე ნუ დაიხარჯებით. გარდაცვალებული უკვე დასაფლავეს.

ქ-რია.

ტმხნიკის დაკარგვა

საგარეჯო. უგზო-უკვლოდ დაიკარგა რაიონმასკომის ტმხნიკი ზალდასტანიშვილი. ტანად დაბალი, ფერად — შავგვრემანი, აერთო შთაბეჭდილებით — ზარმაცი. მნახველს მიეცემა ჯილდო იმ შემთხვევაში, თუ არ გაამხვებს.

წრასტი.

სალაროს გაუქმება

საგარეჯო. ჩაითვალოს გაუქმებულად საგარეჯოს შემნახველი სალარო, არ არსებული გამოვით, უსაქმო ბუბუბუტერით და უკონტროლო ალექსანდრე კონტროლიორით. სალაროში უკვე დიდი ხანია აღარაფერი ჩერდება. ანაბარების პატრონებს თანაუგრძნობთ.

ზგივე

მ ა უ ბ ა

ელექტრო - ქარხნის მთავარი ბუღალტერი მელქისედექ სიკინჭილაშვილი ქარხნის თავმჯდომარის „ძმა-კაცი“ იყო, მარა მაინც არ მონებრდა მისთვის მოსამსახურის ბილეთის შოვნა დასასვენებელ სახლში გასაგზავნათ.

დაპირება ვერ შეუსრულა.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ქარხნის თავმჯდომარემ მუშის დასასვენებელ ბილეთთან ერთად მისცა მელქისედექს მოწმობა, რომ ის „ნამდვილად არის ელექტრო მონტიორი“.

მელქისედექმაც თავისი კოსტიუმი მუშის უბრალო ლურჯ ხალათზე შეცვალა, რომ ეჭვი არავის აეღო მის მონტიორობაში და არხეინად მოეწყო დასასვენებელ სახლში.

ერთხელ, როცა უეცრად ჩაქრა ელნათური, აღმინისტრაციამ სთხოვა „ელმონტიორ“ სიკინჭილაშვილს — შეეკეთებინა ელმავთული.

მელქისედექსაც რაღა ეთქმოდა. უსიტყვოთ დაემორჩილა თავის ბედს. შეუდგა დაზიანებულ მავთულის შეკეთებას, მაგრამ უეცრად მავთულიდან ელდენი მეხებით დაეძგერა მელქისედექს და ბურთივით ისროლა შორს.

მაშინ ყველა დარწმუნდა მელქისედექის „სპეცობაში“.

დაზიანებულ ხელის მკურნალობას ერთ წელს მოუწია მელქისედექი.

ზაკო.

14

ფეკლა რას უშველის

ძესაქონლეობის განვითარების მიზნით რაიონში დაარსდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა.

ეს ამბავი სრულებით არ გახარებია კულაკებს.

არ ესამოვნა არც მემარჯვენე ოპორტუნისტებს და არც „მემარცხენე“ გამამრუდებლებს.

— ვიღუპები კაცი! — სთქვა კულაკმა.

— დიდი გაუგებრობაა. როგორ შეიძლება ცხოველის საბჭოთა მეურნეობა მოაწყოს! ხომ დაინგრა თითონ მეურნეობა და ქვეყანაც! ამას გარდა, კულაკს რომ საქონელი ჩამოართვა, ხომ მოკვდა საწყალი შიმშილით? ვაი საწყალო კულაკურ — შეღებულ მეურნეობებო და ვაი მე — თქვენს შემხედვარე მემარჯვენე ოპორტუნისტს, ირტყამდა თავს ხელში მემარჯვენე, (შეცდომა არ გეგონოთ, დიახ, „თავს ხელში“).

— რა უაზრობაა საბჭოთა მეურნეობის დაარსება, ავდგები ბატონო, რაც ამ რაიონში საქონელია, გავაერ-

თიანებ, შევეყრი ერთად და დავაარსებ კომუნას. მიდი და წველე ვისაც გინდა და რამდენიც გინდა! — გაიძახოდა „მემარცხენე“ მხტომელი.

— თქვენ ნახავთ, რა მოუვა მაგ მეურნეობებს, საქონელი შიმშილით დაიხრცება, დაქირავებული კაცი მოუვლის ძროხას? — ჩუროხულებდნ პოლკულაჩნიკები.

ამასობაში საბჭოთა მეურნეობამ საუკეთესო ჯიშის პირუტყვი შეიძინა და მოაწყო ბოსლები ტენნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ამასობაში საბჭოთა მეურნეობამ საუკეთესო ჯიშის პირუტყვი შეიძინა და მოაწყო ბოსლები ტენნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

— მაგ ბოსელში საქონელი დაიხრცება, სად პირუტყვი, სად ასეთი შენობა, ფიცრიანი იატაკი პირუტყვისათვის გამგონია? ცოცხალი რომ სათვის გაგვინა? ციტხლი რომ გაჩნდეს, ხომ დაიწვა ყველაფერი! — აწუწუნდა მემარჯვენე.

— დიდება შენთვის უფალო, მყავე და წნილი საქონლისათვის ვამი-

გია? — ჩიბუტბუტა კულაკმა და ნავთი მოიმარაგა სასილოსტე კოშკის დასაწვავად.

— აშკარად დალბება მთელი საკვები, იღუპება მთელი რაიონი, — შესჩიოდა ყველას მემარჯვენე.

— რის სილოსია! ავიღებ და ამ გლებებს მთელ თივას ჩამოვართმევ საქონელსაც წავართმევ, გავაერთიანებ და ისე მოვიხმარ! — ბრძანებდა „მემარცხენე“.

— ღმერთო, შენ დაანგრიე მეურნეობა ისე, ვითარმედ სოდომი და გომორი, რამეთუ იგი არს შემადგენელი ელემენტი სექტორის სოციალისტურის და გვიქადის წარღვანს. — ღოცულობდა გაკრეპილი ღვდელი და:

— ააამინ! — უტრავდა კვერს დიაკვანი.

ეს ჩვენი საბჭოთა მეურნეობა კი, თითქოს აქ არაფერი იყო, მიდის და მიდის წინ. იხრდება სოციალისტური სექტორი და ფართოდება შეუწყვეტილი.

ტარსიტი.

გოგოგრი

დ. შორაპანელს. (შორაპანი). გვწერთ, რომ წითელ სასადილოში უწყსრიგობაა და უსუფთაობას აქვს ადგილი. წვნიანი კერძი საესვა ბუზებითო, რომლებიც გუნდობით ფრენენო.

დათიკიას შევეკითხე: ხომ არ ცხოვრობს ის ძველ დროში.

შემიფრინდა თავში მუზა და აღმიძრა წერის ხეში.

ჩვენ კი ვგრძობთ, რომ თავში შეგფრენიათ არა მუზა, არამედ ის ბუზი, რომელიც თვითმკვლევლობის მიზნით თავს იხრჩობს სუბში. ისიც შესაძლებელია, რომ ზოგიერთებისათვის მუზები თა ბუზები ირთიდა იგივე იყო.

მარტინსას (ლანჩხუთი). მარტინსა ხარო თუ აპრილის, ეს ჩვენთვის არ არის საინტერესო, ისევ როგორც ეს თქვენი წერილია:

ლაშის-ღელის ნიაღვარმა მოგვაყენა ზარალიო. აღმასკომი ხილს ა რანძრებს, მღერის ჰარალ-თარალიო.

თქვენ ისეთი გულუბრყვილო ხართ, რომ ამ თქვენი წერილის დაბეჭდვის შემდეგ ამ საქმეს მეტი ყურადღება მიექცევა გგონიათ. არა, ძმაო, ამით ვერც ჩვენ მოგვატყუებთ და ვერც აღმასკომს.

პ.კის. (სოფ. ხაშში, ვარე-კახეთი). გვწერთ, რომ სკოლის გამგე ვალიკო ლორთქიფანიძემ სცემა სკოლის დარაჯსო. ამის შესახებ ნახატსაც გვიგზავნი და მის წარწერასაც:



ლორთქიფანიძე გაგიჟდა, დარაჯს დაუწყო ცემაო, და თავის გასამართლებლად სიმთვრალე დაიჩემაო.

ვერც „სიმთვრალის დაჩემაბა“ მაინც დამაინც. მასწავლებლისათვის საქებარი საქმე, ასე რომ ეს ამბავი განათლების განყოფილებაში ვერ განმოდგება ფარად.

შ. მღერეველია ხად? რა საჭიროა მთელი წერილის დაბეჭდვა, როცა მთელ წერილად ეს ერთი ადგილი ღირს:

მაგრამ რაი.. მგრმეთ რაი? ხომ გამოვა თამაშობა. ახი არის ყველა ჩემზე. ჩემი ტვინი ამას შობა.

„რამას“ (ლანჩხუთი) რაც უნდა რეკოთ თქვენი სანიტკომისია მაინც ვერ გაიოიძებს. განა ნიანგმა ბევრჯერ არ შინჯა მისი გაოვიძება, მაგრამ ძილი უფრო მაგრად ეკიდება.

პარანსელს (აქვე) თქვენ გულს გაკლიათ, რომ დღეს ჩურჩალ-გაზეთები არ ბეჭდავენ „ნამდვილ პოეზიას“.

ნიანგი შიდიდა თქვენს მღვდომარეობაში და აქვე დაბეჭდა თქვენი ლექსი:

გულს არ ვიტხვ, თუმც ჩემს ლექსებს

არ ბიჭდავენ არასოდეს. დრო მოვა და ფასს დამდებენ, დაფვასდები ასადაო.

ჩვენ რომ თქვენს ალაგას ვიყოთ, იმდენ ქუთუდახიოულობას მაინც გამოვიჩენდით, რომ თავს გავანებებდით პოეტობა-მწერლობას.

15

გზისათვის
მარტვილის
ნახ პალატა
1931
335

335

საქართველო
ბიურო

„ხელები უორს“..

ნახ. დონინ

კულაეები ისევ განაგრძობენ ბრძოლას საქონლის
დაზარალების წინააღმდეგ

